



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011700682223521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

116074

18 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 122395/17 ; **თარიღი:** 16.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის წარმომდგენი პირი: ვაჟა გველუკაშვილი (პირადი ნომერი 01005023364).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „კახეთის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ №882020948889-11 (01.03.2021 წ.) გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული წარმომდგენი პირის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ № 882020948889-11 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

უძრავი ნივთის მისამართი: გურჯაანი მუნიციპალიტეტი , სოფელი ჩუმლაყი.

დგინდება, რომ №882020948889 და №882021029116 სარეგისტრაციო განცხადებებზე წარდგენილ საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზებზე ასახული მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დგინდება ზედდება.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირები: ილია ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001005979), მედეა ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001004196), ნატა ხოლიტაშვილი (პირადი ნომერი 13001047352), ჟანა ოსიაშვილი(პირადი ნომერი 13001064486), სოფიო ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001008054) და ციალა ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001056860).

№ 122395/17 ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ადმინისტრაციულ წარმოებაში ჩააბას დაინტერესებული მხარე მისი მოთხოვნის საფუძველზე, ხოლო კანონით განსაზღვრულ შემთხვევაში ვალდებულია უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს აღნიშნული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლების შესაბამისად,

გადაწყვიტა:

- 1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ვაჟა გველუკაშვილის (პირადი ნომერი 01005023364) 2021 წლის 16 მარტის №122395/17 ადმინისტრაციული საჩივარი.
- 2. აღნიშნული ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ფარგლებში დაინტერესებულ პირებად ჩართულ იქნენ: ილია ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001005979), მედეა ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001004196), ნატა ხოსიტაშვილი (პირადი ნომერი 13001047352), ჟანა ოსიაშვილი(პირადი ნომერი 13001064486), სოფიო ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001008054) და ციალა ოსიაშვილი (პირადი ნომერი 13001056860).
- 3. დაინტერესებულ პირებს განემარტოთ, რომ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში წარმოადგინონ წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნონ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოონ წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადონ აცილება და ისარგებლონ დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მიმდინარე კანონმდებლობით.
- 4. ადმინისტრაციული საჩივრისა და მასზე თანდართული დოკუმენტების ასლები გაეგზავნოთ დაინტერესებულ პირებს და კახეთის რეგიონულ ოფისს.
- 5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩა №2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
- 6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.
- 7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე